



- პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კოლეჯი აცნობს კარიერული დაგეგმვის პოლიტიკას, პარტნიორ ორგანიზაციებთან ურთიერთობის შესახებ ინფორმაციასა და დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს;
- აქტიურად გრძელდება პარტნიორობა კერძო სექტორთან. ამისათვის, კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობას, თანამშრომლობს საქართველოსა და უცხოეთის სხვადასხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და კერძო ბიზნესის წარმომადგენლებთან;
- სპეციალობებიდან გამომდინარე, ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები გაფორმებულია კომუნიკაციების, მომსახურების, ბიზნესის, მშენებლობის, მრეწველობის, საზოგადოებრივი კვლევებისა და სხვადასხვა სფეროში არსებულ კომპანიებთან;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მოწოდებული ვაკანსიები სისტემატურად ქვეყნდება კოლეჯის ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში შექმნილ გვერდზე - „[ვაკანსიები სტუდენტებისთვის](#)“. ეს ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი და ღიაა. აღნიშნული პროცესი, ასევე ეხება სსსმ-სტუდენტების/კურსდამთავრებულების დასაქმების ხელშეწყობას;
- იმართება დასაქმების ფორუმები, დამსაქმებლების პრეზენტაციები კოლეჯში მათი საქმიანობის შესახებ, ვაკანსიების გაცნობა/შეთავაზება კურსდამთავრებულებისათვის/სტუდენტებისთვის/მსმენელებისთვის. მსგავსი შეხვედრების შესახებ ინფორმაცია წინასწარ ანონსდება;
- წარმოებს კურსდამთავრებულთა ბაზა, გამოკითხვები დასაქმების მაჩვენებლების შესახებ, ისინი მუდმივად ახლდება. ამ მიზნით, პერსონალური მონაცემების დაცვით, კოლეჯი მოიპოვებს ინფორმაციას დასაქმებულ სტუდენტთა/მსმენელთა და კურსდამთავრებულთა შესახებ;
- წარმატებულად დასაქმებულის შესახებ ინფორმაცია ვრცელდება კოლეჯის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, მზადდება საინფორმაციო/ფოტომასალა, კლიპები გარე მხარდაჭერით, კოლეჯი იწვევს მათ „ღია კარის“ დღეებზე და სხვა;
- დახმარებასა და კონსულტაციებს უწევს პროფესიულ სტუდენტებს/მსმენელებს კარიერის დაგეგმვის, სამუშაო ადგილების მოძიების, პროფესიით დასაქმებისა და დამსაქმებლებთან ურთიერთობის საკითხებში;
- დამსაქმებლების მხრიდან კონკრეტული ვაკანსიის შემოთავაზების შემთხვევაში, ინფორმაცია მიწოდება კურსდამთავრებულებს/სტუდენტებს/მსმენელებს. ამასთან, პერსონალური მონაცემების დაცვით, ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმაციის გაცვლა/გაზიარება კარიერული მომსახურების მიზნით;
- კოლეჯი თანამშრომლობს სახელმწიფო და კერძო სექტორთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით, პროფესიულ კავშირებთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს პარტნიორობას სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით, კონსულტაციებისა და დატრენინგების კუთხით, ასევე კოლეჯისათვის სხვადასხვა მასალებისა და მოწყობილობების გადაცემას, სხვადასხვა ტრენინგ- სემინარების ჩატარებას;
- პროგრამების განხორციელების ეტაპზე კოლეჯი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რათა კონკრეტული მიმართულებით განავითაროს სტუდენტების/მსმენელების პროფესიული უნარები და უზრუნველყოს მათი რეალიზება. ამისათვის ხორციელდება: ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება; კერძო სექტორის ჩართულობის დონის გაზრდა სტუდენტის/მსმენელის საწარმოო პრაქტიკაში; კერძო სექტორისა და სტუდენტების მეტი ჩართულობა კოლეჯის საქმიანობაში; დამსაქმებლებთან, მცირე და მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან, მოთხოვნადი პროფესიებისა და ვაკანსიების დადგენა;
- კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და საჯარო სკოლებთან, როგორც დასაქმების, ისე სხვადასხვა მიმართულებით;
- მუდმივად ხორციელდება კოლეჯის საქმიანობისა და პროფესიული პროგრამების პოპულარიზაცია პოტენციური დამსაქმებლების მოზიდვის მიზნით;
- კოლეჯის ცნობადობის ამაღლების მიზნით, ეწყობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრეზენტაციები. საგანმანათლებლო ცენტრი ყოველ წელს მონაწილეობს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ფესტივალებში, დასაქმების ფორუმებში, პარტნიორი ორგანიზაციების ღონისძიებებსა თუ საქმიან შეხვედრებში.
- კოლეჯი აწყობს თემატურ, საპრეზენტაციო და საგამოფენო ღონისძიებებს ან მათში მონაწილეობს სტუდენტების/წარმატებული კურსდამთავრებულებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების ჩართულობით;
- კოლეჯის საგამოფენო სივრცეში სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა ნამუშევრების გამოფენები მუდმივმოქმედია;
- კოლეჯის ვებგვერდზე 2 წელზე მეტია მოქმედებს ელექტრონული პლატფორმა - „[სტუმრად კოლეჯში](#)“, რომელიც სასწავლებელში მოსვლის მსურველებს შესაძლებლობას აძლევს, სასურველ დროს დაგეგმოს ვიზიტი ელექტრონული კალენდრის მეშვეობით;
- პანდემიის პერიოდში დამკვიდრდა და 2 წელზე მეტია კოლეჯის ვებგვერდზე მოქმედებს ე.წ. „[ვირტუალური ტური კოლეჯში](#)“, რომელიც სახლიდან გაუსვლელად იძლევა კოლეჯის დათვალიერებისა და სასწავლო პროგრამების გაცნობის შესაძლებლობას.